დარგობრივი კომუნიკაციის სწავლების სტრატეგიები გერმანული ენის ქართველ შემსწავლელთათვის

DOI: https://doi.org/10.52340/splogos.2025.02.17

ნანა გამყრელიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
gamkrelidzenana12@gtu.ge
ORCID iD: https://orcid.org/ 0009-0008-2348-13333

აბსტრაქტი

გერმანული ენის დარგობრივი კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს დღევანდელ საგანმანათლებლო გარემოში, განსაკუთრებით იმ ქართველი სტუდენტებისათვის, რომლებიც ამ ენის შესწავლას ისახავენ მიზნად. ქართულ უნივერსიტეტებში და საგანმანათლებლო დაწესებულებებში იზრდება ინტერესი გერმანული ენის დარგობრივი ასპექტების მიმართ, რაც განპირობებულია როგორც გერმანული ენის გაძლიერებული გამოყენების საჭიროებით, ისე თანამედროვე ტექნოლოგიების, ეკონომიკური და პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობების განვითარებით. დარგობრივი კომუნიკაცია მოიცავს ენის ისეთ გამოყენებას, რომელიც შესაბამისია კონკრეტულ პროფესიულ სფეროში, რაც მას განსაკუთრებულად საჭიროს ხდის თანამედროვე სწავლების პრაქტიკაში.

გერმანული დარგობრივი ენის შესწავლა ქართველ სტუდენტებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან ის უვითარებს მათ უნარ-ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია კონკრეტულ სფეროებში წარმატებული კარიერისათვის. კვლევა მოიცავს გერმანულ ენაში დარგობრივი კომუნიკაციის სწავლების სტრატეგიების მიმოხილვას და მათ ადაპტირებას ქართული საგანმანათლებლო სისტემის სპეციფიკაზე.

ნაშრომში განხილულია იმ პრინციპების და მიდგომების ეფექტიანობა, რომლებიც ხელს უწყობს დარგობრივი კომუნიკაციის სწავლებას, მათ შორის, ენის კულტუროლოგიური და პროფესიული ასპექტების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: დარგობრივი კომუნიკაცია, სპეციალიზებული ენა, დიალოგური მიდგომა, კულტუროლოგიური კომპეტენცია, ინტერკულტურული კომუნიკაცია.

Teaching Strategies for Specialized Communication in the German Language

Nana Gamkrelidze
Associate Professor, Georgian Technical University gamkrelidzenana12@gtu.ge
ORCID ID: https://orcid.org/ 0009-0008-2348-13333

Abstract

The teaching of specialized (domain-specific) communication in the German language has become increasingly relevant in the context of Georgian higher education, particularly for students aiming to pursue careers in professional fields such as business, law, medicine, and engineering. The paper examines the significance of Fachsprache, specialized language, and explores effective strategies for teaching it to Georgian learners within the specific cultural and educational context of Georgia.

The article begins by defining the concept of specialized communication as the targeted use of language within specific professional domains. It emphasizes the importance of mastering specialized terminology, stylistic nuances, and communicative functions that align with particular disciplines. The first section elaborates on the critical need for domain-specific language instruction in enabling students to operate effectively in professional environments.

Subsequently, the article discusses five key pedagogical strategies:

1. **Dialogic Approach** – Emphasizing interaction-based learning, including role-playing and real-life simulations, to develop interpersonal and linguistic skills relevant to professional settings.
2. **Cultural and Intercultural Competence** – Recognizing the importance of understanding German cultural norms and communication styles to ensure successful cross-cultural communication.
3. **Project-Based and Practice-Oriented Learning** – Integrating real-life professional tasks and projects to enhance the practical application of specialized knowledge.
4. **Technology Integration** – Leveraging digital tools and platforms to support communication training and enable access to authentic German-language professional environments.

5. **Adaptive Strategies for Georgian Students** – Tailoring teaching methods to suit the cognitive, cultural, and academic needs of Georgian learners, with emphasis on contextual relevance and skill transfer.

The paper concludes that teaching specialized communication in German is not merely about linguistic competence but also requires cultural awareness, critical thinking, and the ability to apply language knowledge in authentic professional contexts. The recommended strategies provide a foundation for developing a robust curriculum that prepares Georgian students for real-world communication challenges in the German-speaking professional sphere.

Key words: Specialized communication, Specialized language (Fachsprache), Dialogic approach, Culturological competence, Intercultural communication.

შესავალი

დარგობრივი კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ კომუნიკაციულ პროცესებს, რომლებიც კონკრეტული პროფესიის ან სფეროს ფარგლებში ხორციელდება. ეს არის კომუნიკაცია, რომელსაც იყენებენ სპეციალისტები ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ბიზნესი, სამართალი, ინჟინერია, სამედიცინო სფერო, ტექნოლოგია და სხვა. ეს კომუნიკაცია მოიცავს როგორც ზეპირს, ასევე წერილობით კომუნიკაციას, რომელიც იცავს პროფესიული სტანდარტების, ეთიკის და სპეციფიკური ტერმინოლოგიის გამოყენების წესებს. დარგობრივი კომუნიკაციის მიზანია უზრუნველყოს მიზანმიმართული, ზუსტი და ადეკვატური ინფორმაციის გადაცემა სპეციალისტებს შორის. [230]

ნაშრომის მთავარი მიზანია, გერმანული ენის დარგობრივი კომუნიკაციის სწავლების სტრატეგიების დეტალური განხილვა, ამ მიზნით, გამოიყოფა 5 ძირითადი პუნქტი და ამ პუნქტების შესაბამისად, შევაფასდება და განიხილება შესაბამისი მიდგომების ეფექტურობა, აგრეთვე მათი ადაპტაციის შესაძლებლობები ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში.

[230] Hufeisen, B., & Lutjeharms, M. (2005). *Deutsch als Fremdsprache: Eine Einführung.* Langenscheidt.

1. დარგობრივი კომუნიკაციის მნიშვნელობა და მისი სპეციფიკა

დარგობრივი კომუნიკაცია (Fachsprache) წარმოადგენს ენის ისეთ გამოყენებას, რომელიც სპეციალურად პროფესიულ და სამეცნიერო სფეროებშია შესაძლებელი. ამ ტიპის კომუნიკაცია მოიცავს ზუსტ ტერმინოლოგიას, სტილისტურ ნიუანსებსა და კომუნიკაციური სტრატეგიების ადაპტაციას კონკრეტული დარგის მოთხოვნების შესაბამისად. გერმანული ენა, როგორც ერთ-ერთი ლიდერი ენა ევროპულ პროფესიულ სივრცეში, გვთავაზობს მდიდარ ლექსიკასა და სენსიტიურ ნიუანსებს, რომლებიც უზრუნველყოფს ზუსტი კომუნიკაციის შესაძლებლობას ისეთ სფეროებში, როგორიცაა მედიცინა, ტექნიკა, სამართალი და ეკონომიკა და ა.შ [231]

დარგობრივი კომუნიკაცია არის ენის გამოყენების ფორმა, რომელიც სპეციალურად განსაზღვრულ სფეროებში, მაგალითად, ბიზნესში, სამართალში, ინჟინერიაში, სამედიცინოში და სხვა დარგებში, პროფესიონალური მიზნებისთვის გამოიყენება. ეს არის კონკრეტული სფეროსათვის დამახასიათებელი ენობრივი სტრუქტურები, ტერმინოლოგია, კომუნიკაციის სახესხვაობები და ქცევითი ნორმები, რომლებსაც დარგის სპეციალისტები იყენებენ სამუშაო გარემოში.

დარგობრივი კომუნიკაციის სწავლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს სტუდენტებისათვის, რომელთაც სურთ პროფესიულად განვითარდნენ ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა ბიზნესი, სამართალი, ეკონომიკა და მედიცინა. სტუდენტები, გერმანულ ენის შესწავლისას ეუფლებიან ამ ენის, არა მხოლოდ, ლექსიკურ-გრამატიკულ სტრუქტურებს, არამედ ეზიარებიან სპეციალიზებულ სფეროში საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნასაც. ამდენად, დარგობრივი კომუნიკაციის სწავლებამ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს როგორც გერმანული ენის ცოდნის გაუმჯობესებაში, ისე პროფესიონალურ უნარ-ჩვევებზე მუშაობაში. [232]

დარგობრივი კომუნიკაციის სწავლების პროცესში, მნიშვნელოვანია მკაფიოდ ჩამოყალიბდეს დარგობრივი კომუნიკაციის ძირითადი მახასიათებლები:

[231] Stickel, G. (2002). *Deutsch als Wissenschaftssprache.* De Gruyter.
[232] Ehlich, K. (2000). *Fachsprache – Allgemeinsprache – Bildungssprache.* In: Hoffmann, L. (Hrsg.): *Fachsprachen. Ein internationales Handbuch zur Fachsprachenforschung und Terminologiewissenschaft*, De Gruyter.

1. **სპეციფიკური ტერმინოლოგია** – თითოეულ დარგს აქვს საკუთარი ლექსიკური მარაგი, რომელიც უნდა იქნას ზუსტად და სწორად გამოყენებული, რათა მოხდეს ზუსტი კომუნიკაცია.
2. **ფუნქციური მიზანი** – დარგობრივი კომუნიკაცია ყოველთვის მიმართულია კონკრეტული მიზნის მიღწევაზე, მაგალითად, ინფორმაციის გაცვლა, ინსტრუქციის გაცემა, ან პრობლემის გადაწყვეტა.
3. **სტილისტური ნიუანსები** – კომუნიკაციის სტილი და ფორმატები ხშირად განსხვავდება არა მხოლოდ ენის დონეზე, არამედ კულტურული და პროფესიული ნორმების მიხედვითაც.
4. **პროფესიონალური ეთიკა** – დარგობრივი კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელოვანია ეთიკური სტანდარტები, რომლებიც ხშირად გავლენას ახდენს ინფორმაციის გადაცემის და მიღების პროცესზე.
5. **ინტერპერსონალური კომუნიკაცია** – დარგობრივი კომუნიკაცია, როგორც წესი, გულისხმობს პირადი ურთიერთობების მართვას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ სფეროებში, როგორიცაა მედიცინა, სამართალი და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ დარგობრივი კომუნიკაცია ზუსტად მოითხოვს არა მხოლოდ ენობრივ უნარებს, არამედ კულტურათაშორისი კონტექსტის გათვალისწინებასაც, რათა კომუნიკაცია იყოს წარმატებული და ეფექტური. ეს ასპექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართველი სტუდენტებისთვის, რომლებმაც უნდა შეძლონ არა მხოლოდ გერმანული ენის, არამედ გერმანულენოვანი კულტურის და მისი სპეციფიკური დარგების კომუნიკაციური პრინციპების გათვალისწინება. [233]

2. დიალოგური მიდგომა და პირადი კომუნიკაციის უნარები

მოცემულ კონტექსტში ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგია არის დიალოგური მიდგომა, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს როგორც ენის სწავლების პროცედურებს, ისე სტუდენტების უნარების განვითარებას. დიალოგი, დარგობრივ კომუნიკაციაში, ასახავს პროფესიონალთა შორის ეფექტურ, განსხვავებულ კონტექსტებში შეთანხმებულ ურთიერთობებს. ეს მიდგომა სწავლების პროცესში გულისხმობს არა მხოლოდ ლექციების ჩატარებას, არამედ პრაქტიკული კომუნიკაციის სესიებს, როგორიცაა როლური თამაშები, სიმულაციები და სამუშაო ჯგუფები.

[233] Neuner, G. (2003). *Lernziel Interkulturelle Kompetenz.* Goethe-Institut.

საქართველოს კონტექსტში, როდესაც გერმანული ენის სწავლების მთავარი მიზანი დარგობრივი კომუნიკაციის უნარების გამომუშავებაა, დიალოგური მიდგომა შესაძლებელს ხდის სტუდენტებმა შეიმუშაონ და დახვეწონ, როგორც ლინგვისტური, ისე კულტუროლოგიური უნარები, რათა შეძლონ წარმატებული და ეფექტური კომუნიკაცია პროფესიულ სფეროებში. [234]

3. კულტუროლოგიური მიდგომა და ინტერკულტურული კომუნიკაცია

დარგობრივი კომუნიკაცია გერმანულ ენაში არ არის მხოლოდ ენობრივი ასპექტების გათვალისწინება. კომუნიკაციის პროცესში კულტურული განსხვავებები ყურადსაღებია. გერმანული ენა გამორჩეულია თავისი კულტურულ-ისტორიული მახასიათებლებით, რაც გავლენას ახდენს არა მხოლოდ ენის სტრუქტურაზე, არამედ კომუნიკაციური სტრატეგიების არჩევაზე.შესაბამისად, ჩვენი მიზანია, სტუდენტებს გამოვუმუშავოთ არა მხოლოდ ენობრივი, არამედ კულტუროლოგიური კომპეტენციებიც, რადგან ინტერკულტურული კომუნიკაცია საშუალებას აძლევს კომუნიკანტებს, არ დაკარგონ ურთიერთობის ეფექტურობა კულტუროლოგიური სხვაობების მიუხედავად.

4. პროექტებზე და პრაქტიკულ მაგალითებზე ორიენტირებული სწავლება

გერმანული დარგობრივი კომუნიკაციის სწავლის წარმატების ერთ-ერთი მთავარი ასპექტი პროექტზე ორიენტირებული სწავლებაა. ეს მიდგომა საშუალებას აძლევს სტუდენტებს პრაქტიკაში გამოიყენონ მიღებული ცოდნა და შეასრულონ კონკრეტული კომუნიკაციური ამოცანები პროფესიულ კონტექსტში. პროექტებზე ორიენტირებული სწავლება ხელს უწყობს სტუდენტებს შეიძინონ უნარები, რომლებიც აუცილებლად გამოდგებათ კონკრეტულ სფეროებში, მაგალითად, ტექნოლოგიაში, სამედიცინო სფეროში ან ეკონომიკაში.

პროექტზე მუშაობის დროს სტუდენტებმა უნდა აწარმოონ დოკუმენტაცია, დამოუკიდებლად ჩაატარონ პრეზენტაციები, ტრენინგები ან სხვა ტიპის დარგობრივი კომუნიკაციის აქტივობები, რაც მომავალი პროფესიონალებისთვის გარდაუვალ აუცილებელობას წარმოადგენს. ეს მეთოდი უზრუნველყოფს არა მხოლოდ

[234] Krumm, H. J. (2001). *Sprachen lernen – Sprachen lehren: Eine didaktische Einführung.* Langenscheidt.

ლინგვისტური უნარების განვითარებას, არამედ სტუდენტებს ეხმარება კრიტიკული აზროვნების, თვითშეფასებისა და დამოუკიდებელი მუშაობის გაძლიერებაში. [235]

5. ტექნოლოგიების როლი დარგობრივ კომუნიკაციაში

ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების ეპოქაში, დარგობრივი კომუნიკაცია კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს და მეტ შესაძლებლობებს გვთავაზობს. ციფრული გარემო, ონლაინ კომუნიკაციის ინსტრუმენტები, თამაშობენ მნიშვნელოვან როლს, რადგან ისინი სტუდენტებს სთავაზობენ შესაძლებლობას, დაამყარონ კომუნიკაცია გერმანულენოვან პროფესიულ საზოგადოებასთან სხვადასხვა დისტანციური და ციფრული პლატფორმების მეშვეობით. ტექნოლოგიების გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში, მაგალითად, ენის სწავლის აპლიკაციები, ონლაინ სემინარები და ვიდეო-კონსულტაციები, ხელს უწყობს დარგობრივი კომუნიკაციის უნარების გამომუშავებას რეალურ კომუნიკაციურ სიტუაციებში. ეს მიდგომა საშუალებას აძლევს სტუდენტს დაინახოს თანამედროვე ტექნოლოგიების გავლენა კომუნიკაციის პროცესზე და შესაბამისი ადაპტირება მოახდინოს მათი გამოყენებისთვის. [236]

დასკვნა

გერმანული ენის დარგობრივი კომუნიკაციის სწავლება დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ მრავალფეროვანი გამოწვევებისა და შესაძლებლობების ფონზე, რომლებიც გლობალიზებულ სამყაროში პროფესიული განვითარებისთვისაა დამახასიათებელი. ნაშრომში განხილული სტრატეგიები – დარგობრივი კომუნიკაციის არსის გააზრება, დიალოგური და კულტუროლოგიური მიდგომების ინტეგრაცია, პროექტზე დაფუძნებული სწავლება და ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება – წარმოადგენენ ეფექტურ და კომპლექსურ მეთოდოლოგიურ მოდელს, რომლის დანერგვაც ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მნიშვნელოვან პროგრესს მოიტანს. დარგობრივი კომუნიკაცია, როგორც პროფესიულ და აკადემიურ სივრცეებში ფუნქციონირებადი ენის ფორმაა, და არ შემოიფარგლება მხოლოდ სპეციფიკური ტერმინოლოგიის დაუფლებით. იგი მოიცავს ღრმა კულტურულ, სტილისტურ და კომუნიკაციურ კომპონენტებს, რომელთა ცოდნაც საშუალებას

[235] Müller, T. (2012). *Deutsch im Beruf: Fachsprachlicher Deutschunterricht für Fortgeschrittene.* Hueber Verlag.

[236] Schneider, M. (2005). *Fachkommunikation in der Praxis: Texte, Muster, Strategien.* Cornelsen.

აძლევს სტუდენტებს, ეფექტურად და შინაარსობრივად იურთიერთონ პროფესიულ გარემოში. სწორედ ამიტომ, სწავლების პროცესი უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ ლინგვისტურ, არამედ ინტერკულტურულ და პროფესიულ კომპეტენციებზე ორიენტირებულ მიდგომებს.

დიალოგური სწავლება ხელს უწყობს პიროვნულ და ჯგუფურ კომუნიკაციის უნარების განვითარებას, რაც პირდაპირ აისახება სტუდენტების პრაქტიკულ მზადყოფნაზე. კულტუროლოგიური მიდგომა კი აძლიერებს მათ გათვითცნობიერებას, თუ როგორ მოქმედებს კულტურული კოდი დარგობრივ ენაზე. ამასთან, პროექტებზე დაფუძნებული აქტივობები და ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენება ხელს უწყობს კრეატიულ და კრიტიკულ აზროვნებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე შრომით ბაზარზე.

შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დარგობრივი კომუნიკაციის სწავლება გერმანულ ენაში, მხოლოდ ენის სწავლება არ არის – ეს არის ინტეგრირებული ცოდნისა და უნარების გამომუშავების პროცესი, რომელიც სტუდენტებს ამზადებს არა მხოლოდ ლინგვისტურად, არამედ პროფესიულადაც. ნაშრომში განხილული სტრატეგიები წარმოადგენენ მყარ საფუძველს ქართული საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირებისა და გერმანული ენის სწავლების ხარისხის ამაღლებისთვის, რაც საბოლოო ჯამში სტუდენტებს მისცემს კონკურენტულ უპირატესობას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პროფესიულ სივრცეში.

გამოყენებული ლიტერატურა

Ehlich, K. (2000). *Fachsprache – Allgemeinsprache – Bildungssprache.* In: Hoffmann, L. (Hrsg.): *Fachsprachen. Ein internationales Handbuch zur Fachsprachenforschung und Terminologiewissenschaft*, De Gruyter.

Hufeisen, B., & Lutjeharms, M. (2005). *Deutsch als Fremdsprache: Eine Einführung.* Langenscheidt.

Krumm, H. J. (2001). *Sprachen lernen – Sprachen lehren: Eine didaktische Einführung.* Langenscheidt.

Müller, T. (2012). *Deutsch im Beruf: Fachsprachlicher Deutschunterricht für Fortgeschrittene.* Hueber Verlag.
Neuner, G. (2003). *Lernziel Interkulturelle Kompetenz.* Goethe-Institut.

Schneider, M. (2005). *Fachkommunikation in der Praxis: Texte, Muster, Strategien.* Cornelsen.

Stickel, G. (2002). *Deutsch als Wissenschaftssprache.* De Gruyter.